სს "ენერგო-პრო ჯორჯია"

დადგენილება №სფ-0245-22
გაფრთხილების სახით ადმინისტრაციული სახდელის
დადების შესახებ

ხაშური 14 ივლისი, 2022 წ.

1. დადგენილების გამომტანი ორგანო (თანამდებობის პირი):

ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის განმხილველი კომისიის თავმჯდომარე - მარიამ ფარეიშვილი

2. საქმის განხილვის თარიღი: 2022 წლის 14 ივლისი

3. ცნობები პირის შესახებ, რომლის მიმართ განიხილება საქმე:

სტეფანე ჯანაშვილი

პირადი №47001045944;

აბონენტის №2910263040;

მცხოვრები: ახალციხე, ვალე, ი. ჭავჭავაძის ქ. №49

.....

4. საქმის განხილვისას დადგინდა შემდეგი გარემოებები:

2022 წლის 11 ივლისს ახალციხეში, თამარაშვილის მოედანზე რეგისტრირებული №2910263040 აბონენტის ი.მ მარინე ზაზაშვილის აღრიცხვის კვანძის შემოწმებისას, დაფიქსირდა დამქირავებლის სტეფანე ჯანაშვილის მიერ ელ. ენერგიის მიწოდების თვითნებურად აღდგენის ფაქტი. აღნიშნულის თაობაზე 11.07.2022 წელს ენერგოზედამხედველობის ქვეგანყოფილების უფროსის ზურაბ ზედგინიძის მიერ შედგა აღრიცხვის კვანძის შემოწმება-მიღების აქტი №A967491, ხოლო 12 ივლისს ახალციხე-ასპინძა-ადიგენის მ/ც-ის უბნის მენეჯერის ია ნათენაძისა და აღრიცხვის ჯგუფის სპეციალისტის ავთანდილ გზირიშვილის მიერ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი ას №006189. კომისიამ გამოიკვლია წარმოდგენილი დოკუმენტაცია. როგორც გამოირკვა, №2910263040 აბონენტის ი.მ მარინე ზაზაშვილის სახელზე რეგისტრირებული მრიცხველი დავალიანების გამო გათიშული იყო ქსელიდან (გათიშვის ჩვენება 018630), ხოლო აღრიცხვის კვანძის შემოწმების მომენტში დაფიქსირდა ელ.ენერგიის მიწოდების თვითნებურად აღდგენისა და ელ.ენერგიის მოხმარების ფაქტი, რაც დადასტურდა მრიცხველის მომატებული ჩვენებით (018647,5). ამასთან, როგორც გამოიკვეთა, სტეფანე ჯანაშვილმა გააღო მრიცხველის კარადა და თვითნებურად ჩართო გამორთული ავტომატური ამომრთველი. აღნიშნული ქმედება სემეკის 28.06.21 №19 დადგენილებით დამტკიცებული "ელექტროენერგიის გამანაწილებელი ქსელის წესების" 33-ე მუხლის შესაბამისად, ითვლება ადმინისტრაციულ სამართალდარღვევად. სტეფანე ჯანაშვილის მიმართ 2022 წლის 12 ივლისს შედგენილ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევის №006189 ოქმს ხელს აწერს აღნიშნული პირი, რომელსაც ადგილზევე გადაეცა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი. მან ახსნა-განმარტების გრაფაში, აღიარა სამართალდარღვევის ჩადენის ფაქტი და აღნიშნა, რომ მსგავსი შემთხვევა აღარ განმეორდება.

სს "ენერგო-პრო ჯორჯია"

სტეფანე ჯანაშვილის მიერ ელ.ენერგიის უკანონო მოხმარება (სამართალდარღვევა) წარმოადგენს პირველ შემთხვევას, რაც დასტურდება საქმეში წარმოდგენილი შსს საინფორმაციო-ანალიტიკური დეპარტამენტის საინფორმაციო ცენტრის მიერ 2022 წლის 13 ივლისს ელექტრონულად გამოგზავნილი ინფორმაციით. საქმეში, ასევე, წარმოდგენილია 11.07.2022 წლის №A967491 აღრიცხვის კვანძის შემოწმება-მიღების აქტი, რომლითაც დასტურდება სტეფანე ჯანაშვილის მიერ ელ.ენერგიის მოხმარებისა და აღრიცხვის წესების დარღვევა. ამასთან, ფაქტია, რომ ელ.ენერგიის თვითნებურად აღდგენა მხოლოდ ელ.ენერგიის მომხმარებლის ინტერესში შედის. საქმეში დევს დადასტურება, რომ სტეფანე ჯანაშვილს ეცნობა საქმის განხილვის დროისა და ადგილის თაობაზე, რასაც ადასტურებს ხელმოწერით. გამოუცხადებლობის საპატიო მიზეზებისა თუ გადადების თაობაზე მას არანაირი განცხადებით კომისიისთვის არ მოუმართავს. ამდენად, კომისია მისი დასწრების გარეშე უფლებამოსილია განიხილოს და მიიღოს გადაწყვეტილება ზემოაღნიშნულ საკითხზე. ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 236-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეზე მტკიცებულებას წარმოადგენს ყველა ფაქტობრივი მონაცემი, რომელთა საფუძველზეც დგინდება სამართალდარღვევის არსებობა/არ არსებობა, თუ პირის ბრალეულობა მის ჩადენაში. ამდენად, საკმარისი მტკიცებულებებია წარმოდგენილი (სამართალდარღვევის ოქმი; აღრიცხვის კვანძის შემოწმება-მიღების აქტი; შსს საინფორმაციო–ანალიტიკური დეპარტამენტის საინფორმაციო ცენტრის ინფორმაცია; საქმის განხილვის დროისა და ადგილის თაობაზე ჩაბარების დადასტურება), რომელთა მეშვეობითაც დგინდება სტეფანე ჯანაშვილის (პირადი №47001045944) მიერ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 96^1 მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებული სამართალდარღვევის ჩადენის ფაქტი, ელ.ენერგიის მოხმარება აღრიცხვის წესების დარღვევით. სამართალდარღვევის ოქმი შედგენილია ა.ს.კ 240-ე მუხლის მოთხოვნათა დაცვით. დაცულია ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა კოდექსის 38-ე მუხლის 1-ლი ნაწილით დადგენილი ადმინისტრაციული სახდელის დადების ორთვიანი ვადა.

5. ზემოაღნიშნულის საფუძველზე, ვიხელმძღვანელე რა საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 96^1 მუხლის 1-ლი ნაწილით; მე-10; 38-ე; 236-ე; 240-ე; 228^2-ე მუხლებით; სემეკის 28.06.21 წლის №19 დადგენილებით; ს/ს „ენერგო-პრო ჯორჯიას" დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარის 29.06.2022 წლის № EPG RU2022007 წესითა და 26.01.2022 წლის №EPG OR2022001 ბრძანებით

დ ა ვ ა დ გ ი ნ ე:

6. სტეფანე ჯანაშვილი (პირადი №47001045944) ცნობილ იქნეს ადმინისტრაციულ სამართალდამრღვევად ა.ს.კ-ის 96^1 მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებული სამართალდარღვევისათვის და დაედოს ადმინისტრაციული სახდელი – გაფრთხილების სახით.

7. მასვე განემარტოს, რომ იგივე ქმედება ჩადენილი განმეორებით, გამოიწვევს ფიზიკური პირის დაჯარიმებას 100 ლარის ოდენობით.

8. სპეციალური საექსპერტო დაწესებულებისა (ექსპერტისა) და თარჯიმნისათვის ასანაზღაურებული მომსახურების ხარჯების კომპენსაციის საკითხი: ----------

9. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ჩაბარებიდან/საჯარო გამოცხადების გზით ჩაბარებულად ჩათვლიდან 10 დღის ვადაში საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელ ეროვნულ კომისიაში (მის: ქ. თბილისი, მიცკევიჩის ქ. №19).

უფლებამოსილი პირის ხელმოწერა:
კომისიის თავმჯდომარე:
მარიამ ფარეიშვილი